საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030164961076420

№ 01-414/ო **17 / აგვისტო / 2020 წ.**

მსოფლიო ბანკის (WB IBRD 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB L0388A) COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის სესხის ფარგლებში პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად აღებული ვალდებულებების საპასუხოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის ადმინისტირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის 2018 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პერსონალური ინფორმაციის დაუცველობაზე შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ შესრულებული და შესასრულებელი აქტივობების გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი)“ (სესხის ნომერი 9113-GE) განრიგი 2-ის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მსოფლიო ბანკის (WB IBRD 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB L0388A) COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის სესხის ფარგლებში პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად აღებული ვალდებულებების საპასუხოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის ადმინისტირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის 2018 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პერსონალური ინფორმაციის დაუცველობაზე შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ შესრულებული და შესასრულებელი აქტივობების გეგმა, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე